სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქცია

მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი (შემდგომში - ნაშრომი) წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. ნაშრომი პროგრამის კვლევითი კომპონენტია;
2. ნაშრომის შესრულება მსმენელს შეუძლია დამამთავრებელ სემესტრში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;
3. ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის უნარის გამომუშავება, სწავლის პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევების- არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარების და ზოგადად, პრობლემის ხედვისა თუ შეფასების, გადაჭრის გზების, საშუალებებისა და ხერხების შერჩევის შესაძლებლობების სრულყოფა;
4. ნაშრომზე მუშაობამ მსმენელს უნდა გაუღრმავოს კვლევის თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო, სტატისტიკური და სხვა ინფორმაციული წყაროების გამოყენების უნარ-ჩვევები.

მუხლი 2. შედეგები:

1. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს მსმენელის კომპეტენციების და დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების უნარის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით დაგეგმილ შედეგებთან და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მაგისტრის კომპეტენციებთან.
2. მსმენელმა ნაშრომში უნდა გამოავლინოს, რომ:

   ა) აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

   ბ) შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

   გ) შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

   დ) შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

   ე) შეუძლია სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და დამოუკიდებლად წარმართვა; სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გამომუშავებული აქვს სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

   ვ) იცავს სფეროსთან დაკავშირებული ეთიკური თუ პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

მუხლი 3. შეფასება

სასწავლო კურსში შეფასება ეყრდნობა აკადემიაში მოქმედ ზოგადი შეფასების რეგულაციებს;
ნაშრომის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით;
ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მსმენელი დაასრულებს

მასზე მუშაობას.
ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა).
კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.
დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შემდეგნაირადაა განსაზღვრული:
ა) ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს. შესაბამისად, მსმენელის შეფასება ამ კომპონენტში უნდა იყოს მინიმუმ 10,2 ქულა შესაძლო 20 ქულიდან.
ბ) ნაშრომის რეცენზენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს. შესაბამისად, მსმენელის შეფასება ამ კომპონენტში უნდა იყოს მინიმუმ 15,3 ქულა შესაძლო 30 ქულიდან.
გ) საჯარო დაცვაზე ნაშრომის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს. შესაბამისად, მსმენელის შეფასება ამ კომპონენტში უნდა იყოს მინიმუმ 25,5 ქულა შესაძლო 50 ქულიდან.
საჯარო დაცვაზე დაშვების პირობაა:
ა) ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა;
ბ) მოამზადოს მინიმუმ ერთი პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში;
გ) მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სამეცნიერო კონფერენციაში.
მსმენელს ამ წესით განსაზღვრული შეფასების ნებისმიერ ეტაპზე აქვს უფლება მიღებული შედეგები გაასაჩივროს აკადემიის საპრეტენციო კომისიაზე;
მსმენელი, რომელმაც ვერ დააგროვა 51 ქულა, მაგრამ მიიღო 41 და მეტი ქულა, დაიშვება დამატებით დაცვაზე; მსმენელს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
დამატებით დაცვაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
მსმენელი, რომელმაც ვერ დააგროვა 41 ქულა, კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
ნაშრომების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია შესაბამის სილაბუსებში;
ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება ამ მუხლის მე-14 პუნქტით;
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და აკადემიური საბჭო განიხილავს მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს.
შეფასების შედეგების უკმაყოფილების შემთხვევაში/შეფასების გასაჩივრების მიზნით მსმენელს

შეუძლია წერილობითი ფორმით მიმართოს მაგისტრატურის ხელმძღვანელს შედეგების გამოცხადებიდან სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. პროცედურა

1. ნაშრომი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამის მე-4 სემესტრში.
2. მე-4 სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე, მსმენელებმა უნდა აირჩიონ ხელმძღვანელები, საჭიროებისამებრ თანახელმძღვანელი, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ მიმართულების ხელმძღვანელს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მსმენელი, ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეთანხმებით ირჩევს ნაშრომის თემას, რომელიც მტკიცდება მაგისტრატურის საბჭოს სხდომაზე და ფორმდება შესაბამისი ოქმი;
4. ნაშრომის თემის არჩევის შესახებ მსმენელი შესაბამისი განცხადებით მიმართავს მიმართულების ხელმძღვანელს. განაცხადში (დანართი 1) მითითებული უნდა იყოს თემის სახელწოდება და ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი; მსმენელი მის მიერ არჩეულ სამაგისტრო თემას წარადგენს პრეზენტაციის სახით.(იხ. ნიმუში).
5. ნაშრომის თემის შეცვლა ან სათაურში ცვლილებების შეტანა დასაშვებია საკვლევი თემის დამტკიცებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არგუმენტირებული წარდგინებით მტკიცდება მაგისტრატურის საბჭოზე.
6. დაცვამდე 2 კვირით ადრე, ნაშრომი, ხელმძღვანელის დასკვნა-რეკომენდაცია და შეფასება (თანახელმძღვანელის შემთხვევაში, ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის დასკნა და შეფასება), ნაშრომის ერთ ეგზემპლარი და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (არქივირების მიზნით) უნდა ჩაბარდეს მაგისტრატურას. ნაშრომის ჩაბარების დროს უნდა ჩაბარდეს პლაგიატის ცნობაც.
7. ნაშრომის დაცვის თარიღს განსაზღვრავს მაგისტრატურის საბჭო და დაცვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აწვდის მსმენელებს ინფორმაციას დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ.

მუხლი 5. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

1. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიის აკადემიური პერსონალი, მიმართულების უფროსი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი, რომელიც აკადემიაში მიიღება შრომითი ხელშეკრულებით, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შესაბამისი სალექციო კურსის წარმართვისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.
2. ნაშრომის ხელმძღვანელად/თანახელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით.
3. აკადემიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არ აქვს აკადემიასთან შრომითი ხელშეკრულება და დასაქმებულია უსაფრთხოების სექტორში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურაში, აქვს დოქტორის ხარისხი ან/და დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება.
4. მსმენელი ვალდებულია ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელის არჩევა წინასწარ შეათანხმოს მაგისტრატურის ხელმძღვანელთან.
5. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმღვანელი მტკიცდება მაგისტრატურის საბჭოზე, რის შესახებაცფორმდება შესაბამისი ოქმი.
6. ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, სპეციალურ ბლანკზე ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას (დანართი N2), რომ გაუწევს მსმენელს კონსულტირებას ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
7. ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა:

   ა) კონსულტაციები გაუწიოს მსმენელს თემის შერჩევაში, მისცეს რეკომენდაციები გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და რეკომენდაციები და კვლევის არასწორი მიმართულებით

წარმართვის შემთხვევაში მისცეს რეკომენდაციები მისი კორექციისთვის;
ბ) შეაფასოს მსმენელის მიერ გაწეული მუშაობა შესაბამის სილაბუსში მოცემული წესით;

8. თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ამზადებენ ერთიან რეკომენდაციებსა და დასკვნებს, აკეთებენ ერთიან შეფასებას.
9. ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მსმენელთან მუშაობა შესაძლებელია განხორციელდეს აუდიტორიაში პირისპირ, ან დისტანციურად.
10. ხელმძღვანელმა (თანახელმძღვანელის შემთხვევაში, ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ერთობლივად) ნაშრომის დასრულების შემდეგ უნდა მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   ა)ნაშრომის დასათაურებას;
   ბ) ნაშრომის ავტორის ვინაობას; გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
   დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
   ე) ნაშრომის ზოგად შეფასებას;
   ვ) ნაშრომის შინაარსის შესაბამისობას სამაგისტრო სპეციალობასთან;
   ზ) პირად დასკვნა-რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად (დაშვება/არ დაშვების თაობაზე).
11. დასკვნა - რეკომენდაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, A4 ფორმატით, სრული აბზაცებით _ თითო სტრიქონის დაშორებით, "სილფაენი" შრიფტით, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14, ძირითადი ტექსტისა – 12, სტრიქონებს შორის მანძილი –1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.
12. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი მიმართავს მიმართულების უფროსს, რომ სამაგისტრო ნაშრომი დასრულებულია და რეკომენდაციას უწევს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენას.
13. მსმენელის შეფასება და დასკვნა - რეკომენდაცია საჯარო დაცვამდე ორი კვირით ადრე უნდა ჩაბარდეს მაგისტრატურას.
14. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში) ესწრება, ნაშრომის საჯარო დაცვას.
15. ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში) უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელს, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის დაწყებიდან. მაგისტრატურის ხელმძღვანელი, აღნიშნულ საკითხს წარადგენსმაგისტრატურის საბჭოზე.
   ა) მაგისტრატურის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მტკიცდება ახალი ხელმძღვანელი.
   ბ) მაგისტრატურის საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ხელმძღვანელი აგრძელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას
16. მსმენელს აქვს უფლება ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის მიზნით, მიმართოს აკადემიის საპრეტენზიო კომისიას როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში, არაუმეტეს 1 თვის ვადაში, მუშაობის დაწყებიდან.

მუხლი 6. რეცენზენტი

1. ნაშრომს ენიშნება რეცენზენტი, რომელსაც ირჩევს მაგისტრატურის საბჭო. გადაწყვეტილება მტკიცდება მაგისტრატურის საბჭოზე, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი. რეცენზენტი შეიძლება იყოს აკადემიის თანამშრომელი, მოწვეული პირი, ასევე პირი რომელსაც აკადემიასთან არ აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. რეცენზენტად შეიძლება შერჩეულ იქნას პირი, რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი ნაშრომში განხილული თემატიკის შესაბამის სფეროში ან დოქტორის აკადემიური ხარისხის არ მქონე პირი, რომელსაც აქვს კონკრეტულ დარგში შესაბამისი განათლება ან შრომითი პრაქტიკული გამოცდილება.
2. რეცენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, A4 ფორმატით, შრიფტი "სილფაენი", სათაურებისა და ქვესათაურების ზომა -14, ძირითადი ტექსტის ზომა – 12, სტრიქონებს შორის

მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.

3. რეცენზია, არანაკლებ ორი გვერდისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) ნაშრომის დასათაურებას;
   ბ) ავტორის ვინაობას;
   გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
   დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
   ე) ნაშრომის ზოგად შეფასებას;
   ვ) პირად დასკვნას სამაგისტრო ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.
4. მსმენელის შეფასება და დასკვნა დაცვამდე სამი დღით ადრე წარედგინება მაგისტრატურის ხელმძღვანელს.

მუხლი 7. ნაშრომის დაცვის კომისია

1. ნაშრომის დაცვის კომისია მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე მაგისტრატურის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით;
2. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მაგისტრატურის შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები – პროფესორების შემადგენლობიდან და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ან პროფესიული გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე აკადემიის ადმინისტრაციის წევრები და მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია;
3. კომისიის წევრებს შორის ერთ-ერთს ეკისრება თავმჯდომარის მოვალეობა და მტკიცდება კომისიის წევრებთან ერთად. კომისიის სხდომების ოქმებს აწარმოებს კომისიის მდივანი, რომელსაც (შეფასების უფლების გარეშე) თავის შემადგენლობიდან ირჩევს კომისია;
4. საჯარო დაცვაზე შესაძლოა მოწვეულ იქნენ პოტენციური დამსაქმებლები შეფასების უფლების გარეშე;
5. ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;
6. დაცვის პროცედურის დოკუმენტაციის (სხდომის ოქმი, უწყისები) წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი;
7. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და რეცენზენტი, დაცვას ესწრება შეფასების უფლების გარეშე;
8. საჯარო დაცვაზე ნაშრომი ფასდება 50 ქულით, რომელიც გამოითვლება კომისიის თითოეული წევრის შეფასების საერთო არითმეტიკულით;
9. ნაშრომის შეფასების ფორმა მტკიცდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით;
10. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელიც წარედგინება მაგისტრატურის საბჭოს და მხედველობაში მიიღება აკადემიური ხარისხის მინიჭების დროს.

მუხლი 8. ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ მსმენელი იწყებს ნაშრომის საჯარო დაცვას წინამდებარე ინსტრუქციის დანართი N3-ით განსაზღვრული წესის მიხედვით;
2. ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
   ა) ნაშრომის წარდგენას (20-30 წუთი);
   ბ) კითხვა-პასუხს;
   გ) ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნის გაცნობას.
3. დაცვის პროცედურა გულისხმობს, აგრეთვე, ნაშრომის შეფასებას, რომლის დროსაც სხდომა დამსწრეთათვის იხურება;
4. ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს;
5. ნაშრომის დასკვნითი შეფასება მოიცავს ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის, რეცენზენტის შეფასებას და ნაშრომის საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას და ხორციელდება ამ დოკუმენტის მე-3 მუხლის შესაბამისად;
6. ნაშრომის საჯარო დაცვაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელს

უფლება აქვს, დამატებით ერთხელ გავიდეს ნაშრომის დაცვაზე მაგისტრატურის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში;

7. ნაშრომის საჯარო დაცვის მიმდინარეობით უკმაყოფილების ან მასთან დაკავშირებული სხვა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მსმენელს შეუძლია იმავე დღეს წერილობითი სახით მიმართოს მაგისტრატურის ხელმძღვანელს საჯარო დაცვის მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების შესწავლის მიზნით.

მუხლი 9. ნაშრომის დამატებითი დაცვა

1. ნაშრომის დამატებითი დაცვის თარიღს მაგისტრატურის საბჭო დაცვამდე არანაკლებ ათი დღით ადრე აწვდის მსმენელებს ინფორმაციას დამატებითი დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ;
2. მსმენელი, რომელიც საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება დამატებით დაცვაზე, შეფასდება 0ქულით და უწყდება მსმენელის სტატუსი;
3. მსმენელის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომის დაცვის/დამატებითი დაცვის აღდგენაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად, მსმენელმა მაგისტრატურის ხელმძღვანელს უნდა მიმართოს შესაბამისი განცხადებით, რომელშიც დასაბუთებული იქნება გაცდენის საპატიო მიზეზი. ამგვარის არსებობის შემთხვევაში, მსმენელი გამოცდაზე დაიშვება დაცვის ჩატარებიდან გონივრულ ვადაში მაგისტრატურის საბჭოს გადაწყვეტილებით;
4. მსმენელი, რომელმაც ვერ დაიცვა ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით;
5. დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში მაგისტრატურა ვალდებულია ნაშრომი გადასცეს აკადემიის კანცელარიას.

მუხლი 10. ნაშრომის გაფორმების წესი

1. ნაშრომის გამართვისას გამოიყენება აკადემიის აკადემიური სტილის სახელმძღვანელო, რომლითაც მსმენელი აფორმებს ნაშრომს დადგენილი წესის შესაბამისად და იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ წყაროების დამოწმების წესს;
2. დაცვის პროცესში მსმენელმა უნდა გამოიყენოს საილუსტრაციო მასალა;
3. ნაშრომის გვერდების რაოდენობა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის გარეშე, უნდა წარმოადგენდეს 50-100 გვერდს.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. მდივანი წარმოადგენს მსმენელს, სამაგისტრო თემის სათაურს, ხელმძღვანელს და რეცენზენტს;
2. მსმენელი შემოდის აუდიტორიაში, წარუდგება კომისიას(დანართი 3);
3. ხელმძღვანელი კითხულობს დასკვნას და შუამდგომლობს კომისიის წინაშე დაშვებულ იქნას მსმენელი დაცვაზე;
4. მსმენელი იწყებს ნაშრომის დაცვას;
5. კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ წაკითხული ნაშრომი ბოლომდე, რომ არ მოხდეს შეფასება მხოლოდ პრეზენტაციის საფუძველზე;
6. რეცენზენტი ან კომისიის მდივანი აცნობს ნაშრომს კომისიას;
7. დაცვის დასრულების შემდეგ, მდივანმა მსმენელს უნდა გააცნოს თემის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებები.

მუხლი 11. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

1. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები განსაზღვრულია აკადემიის „პლაგიატის აღმოჩენის და მასზე რეაგირების წეს“-ში;
2. ნაშრომის ხელმძღვანელმა გააკეთოს მოხსენება მიმართულების ხელმძღვანელის სახელზე, რომ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს და ნაშრომი მზადაა დაცვისთვის.

დანართი 1

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:	
მსმენელის სახელი და გვარი:	
☐ ხელმძღვანელის სამაგისტრო სახელი და გვარი: ☐ თანახელმძღვანელის სახელი და გვარი:	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური:	

ხელმოწერა: _____

თარიღი: ____ _____ 202_

დანართი 2

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:	
მსმენელის სახელი და გვარი:	
☐ ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ☐ თანახელმძღვანელის სახელი და გვარი:	
ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსი:	□ პროფესორი □ დოქტორანტი □ მკვლევარი □ მოწვეული ლექტორი
სამაგისტრო ნაშრომის სათაური:	
თანახმა ვარ მსმენელს გავუწიო ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშობის პროცესში	
ხელმოწერა: _____ თარიღი: ____ _____ 202_	

მსმენელის წარდგენის წესი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე

მსმენელი იღებს აუდიტორიაში შესვლის ნებართვას იქ მყოფ წოდებით ან სამსახურეობრივად მაღალი რანგის პირისგან, მიმართავს წოდებით და ან/და თანამდებობის დასახელებით და მიმართავს „ნება მომეცით შემოვიდე“.

ამის შემდგომ გადაადგილდება აუდიტორიაში მდგომ ტრიბუნასთან, სადაც იღებს დგომ ,,სმენა''-ს და მოახსენებს კომისიის წევრებს ბატონო კომისიის თავმჯდომარე, პატივცემულო კომისიის წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო. მოგესალმებით ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის მსმენელი დავით დავითაძე.

წარმოგიდგენთ სამაგისტრო ნაშრომს, თემით: „ლიდერის როლი საქართველოს თავდაცვის ძალებში“. ნაშრომის ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გიორგაშვილი.

აკადემიის აკადემიური სტილის სახელმძღვანელოს მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია რეკომენდებულია შედგებოდეს (იხ. ნიმუში 1).

ამის შემდეგ მსმენელი იწყებს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის პროცესს რომელიც უნდა გაგრძელდეს 20-30 წუთს.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ, მსმენელი მიმართავს აუდიტორიას შესაძლო შეკითხვების ქონის თაობაზე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესს მსმენელი ასრულებს სიტყვებით ,,მსმენელმა დავთ დავითაძემ სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა დავასრულე'' იღებს დგომს ,,თავისუფლად'' და ელოდება შემდეგ განკარგულებებს.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამაგისტრო ნაშრომის სათაური

მიმართულება:

მსმენელი:

ნაშრომის ხელმძღვანელი:

წელი

შინაარსი

- ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა;
- შესავალი;
  - საკვლევი პრობლემა;
  - საკვლევი თემის აქტუალობა;
  - კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები;
  - მიზნები და ამოცანები;
  - ჰიპოთეზა ან/და საკვლევი კითხვები;
  - ცვლადები;
  - საგანი და ობიექტი;
  - კვლევის მეთოდები;
  - კვლევის მეცნიერული სიახლე;
- შედეგები;
- შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია;
- დასკვნა და რეკომენდაციები.

ნიმუში

გმადლობთ ყურადღებისთვის!
კითხვები?